მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

სექცია: ისტორიის სექცია

თემა: ჩემი მოგზაურობა მეგალითების სამყაროში

ქალაქი: ქუთაისი (იმერეთი)

ავტორი: ლუკა ფაჩულია

სკოლა: სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

კლასი: მე-12

თემის ხელმძღვანელი: ზინა ბუბუტეიშვილი

თარიღი: 2017-2018 სასწავლო წელი

1. ლ.მელიქსეთ-ბეგი მეგალითური კულტურა საქართველოში //გამ. „ფედერაცია“ 1938წ.

2. შალვა ამირანაშვილი ქართული ხელოვნების ისტორია // გამ. „ხელოვნება“, თბ., 1971 წ.

3..ბადრი ჯიჯელავა საქართველოს ძველი ასტრონომიის კულტურული კონტექსტი//ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა //ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2016

4.ავრანლოს ძეგლები-- დევი ბერძენიშვილი// ჟღერს ქვის ფარმონია//თბ.2006წ.ტ.13 გვ.17-18

5.ნ. კეცხოველი „კიდევაც დაიზრდებიან“file://C:/Users/USER/

6.http://ka.wikipedia.org/wiki/მეგალითები

7. htps://forum.ee/

გეგმა

1. შესავალი გვ.1-4
2. სოფ. გოხნარი გვ.4-6
3. ბედენის ლოდოვანი გვ.6-7
4. სოფ.თეჯისი გვ.7-10
5. ავრანლუ გვ.10-11
6 .ნარდევანი გვ.11-12
7. დასკვნა გვ.12-14

რეცენზია: თემა „ჩემი მოგზაურობა გოლიათების სამყაროში“ ძალიან საინტერესოა, რადგან მასში საუბარია მეგალითებზე, რომლებიც მრავლადაა საქართველოს ტერიტორიაზე. მოსწავლე ვრცლად საუბრობს მეგალითების არსზე, დანიშნულებასა და მის როლზე ადამიანთა საქმიანობაში. ნაშრომში განხილულია 4 მეგალითური კომპლექსი: გოხნარი, თეჯისი-ჩოლაყი, ავრანლუ-ავრანლო და ნარდევანი. ვრცლადაა მიმოხილული თითოეული მათგანი, გადმოცემულია ის ემოციები და შთაბეჭდილებები, რაც უშუალოდ განიცადა მოსწავლემ მათი მონახულებისას.

მეგალითური კომპლექსების მონახულების შემდეგ ლუკამ გამოიტანა გარკვეული დასკვნები ამ ძეგლების შესახებ, მოიძია ინფორმაცია, ნანახი და წაკითხულ-მოსმენილი ერთმანეთს შეურწყა, თუმცა მას მაინც დარჩა კითხვები : თუ ვინ აშენებდა ამ უზარმაზარ ნაგებობს უძველეს დროში და რა ტექნიკით? რატომ გამოიყენეს უზარმაზარი ლოდები? რამ დაანგრია ეს ნაციხარები და ა. შ. საინტერესოა ისიც, რომ მოსწავლე შემოქმედებითად უდგება ამ საკითხს და რამდენიმე რეკომენდაციასაც კი იძლევა იმის შესახებ, თუ რა ქმედით ღონისძიებებს შეუძლია გასცეს ნაწილობრივ მაინც ამ შეკითხვებს.

თემა მთლიანობაში საინტერესოა და ვფიქრობ ნაკლებად ცნობილი ფართო აუდიტორიისთვის.

თემის ხელმძღვანელი: / ზ. ბუბუტეიშვილი/

1

აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისაო უთქვამს ჩვენი ერის მამას ილია ჭავჭავაძეს და მართლაც ასეა, თუ არ იცი შენი წარსული, ძნელია იცხოვრო აწმყოში და დაგეგმო მომავალი. მთელი ჩემი სიცოცხლე მესმოდა

ეს სიტყვები, რადგან დედაჩემი ისტორიკოსია, მაგრამ მის არსს მაინც ვერ ვწვდებოდი, სანამ მე თვითონ არ ვნახე ჩემი თვალით ასჯერ მოსმენილი, მაგრამ ჩემთვის ძნელად წარმოსადგენი და ცოტა დაუჯერებელი გოლიათების სამყარო. თითქოს ხორცი შეისხა ჩვენი დიდებული წარსულის ლეგენდებმა და თქმულებებმა, ზღაპრებმა და მითებმა, გაცოცხლდნენ გმირები და გოლიათები, გველეშაპები და ურჩხულები და ცოტა არ იყოს მიჭირდა გამერკვია ეს ყველაფერი მისტიკა იყო თუ რეალობა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ მშვენიერ დღეს მე და დედაჩემი წავედით ესპედიციაში ჩვენი ოჯახის მეგობრებთან ერთად, რომლებსაც ძალიან უყვართ საქართველო და ცდილობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამოუხსნელი ამოცანების გასაღები იპოვონ. მთელმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ რამდენიმე დღიანი ექსპედიცია მოეწყოთ მეგალითების სამყაროში, სიმართლე გითხრათ ეს ყველაფერი ცოტა ფანტასტიკად მეჩვენებოდა , მაგრამ მეც ჩავერთე ამ საქმეებში. აგროვებდნენ მასალებს, მსჯელობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ წაკითხულის შინაარსს და შემდეგ კი მომავალ გეგმებს განიხილავდნენ.

ამდენი ინფორმაციის მოსმენა-განხილვის შემდეგ ძალიან დიდი სურვილი მქონდა დამეთვალიერებინა ეს საოცრება და ჩემი თვალით მენახა ზეადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი და დავრწმუნებულიყავი იმ სასწაულში, რასაც მეგალითები ანუ ციკლოპური ნაგებობების სიდიადე ჰქვია.

და აი, დადგა ნანატრი დღეც. ჩვენი ფაციფუცი მიუახლოვდა ლოგიკურ დასასრულს და 2016 წლის 30.07. შეიკრიბა ადამიანთა ჯგუფი , რომლებიც იკვლევენ უძველესი ცივილიზაციის ნაშთებს საქართველოში და დავით და გვანცა ფილაურებთან, ბიძინა და შორენა აბესაძესთან , ლაშა თვაურთან, ეკა კარტოზიასთან ერთად გავემგზავრეთ გოლიათების ნაკვალევის საძებნელად.

გზად ძალიან ბევრ თემაზე ისაუბრეს უფროსებმა, მე კი ვფიქრობდი თუ ისინი მართლაც ოდესღაც ვინმეს აუგია შევძლებთ კი ჩვენ რაომე ახალი შევმატოთ ამ საქმეს? ჩვენსავით რამდენი მეცნიერი და უბრალოდ სხვადასხვა სპეციალობის ადამინი ეძებეს, სწავლობს, ფიქრობს და მაინც ვერ უპოვია გასაღებს ამ უძველესი ცივილიზაციების ამოსახსნელად.

და რა არის მაინც ეს მეგალითები?

მეგალითები, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლებია . ტერმინი „მეგალითი“ შედგენილი სიტყვაა, რომელიც ბერძნულიდან მომდინარეობს და „Megas“- დიდი და „Logos“ ქვა-ლოდს - „დიდ-ქვას“ ანუ „ დიდ-ლოდს“ აღნიშნავს. ისტორიაში ამ ტერმინით აღნიშნავენ საცხოვრებელ და საკულტო ნაგებობების ნაშთებს, რომლებიც აგებულია ან აღმართულია უზარმაზარი ანდეზიტის, ბაზალტის და ვულკანური წარმოშობის ქვათა ლოდებისაგან. მეგალითები ის ნაგებობებია, რომლებიც აღწერილია ქართულ, ბერძნულ, შუმერულ, ეგვიპტურ და მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში და ცნობილია როგორც დევ-გმირებთა , ციკლოპებთა ანუ კიკლოპებთა ნაგებობები. ძველ სომხურ წყაროებში კი მათ ერასტო-ერასტუ ანუ ურარტულს უწოდებენ.[1]

რა დანიშნულება ჰქონდა ამ გრანდიოზულ ნაგებობებს? რისთვის აგებდნენ? რატომ იყო ასეთი უზარმაზარი? როგორ აშენებდნენ უდოღაბოდ მშრალი წყობით ანუ როგორი იყო მშენებლობის სტილი? რა ტექნიკა გამოიყენებოდა მათი მშენებლობისას? რომელ პერიოდს ეკუთვნის? მეცნიერებისათვის ნამდვილ დილემას წარმოადგენს ეს კითხვები, რადგანაც მეგალითების მშენებლობის პერიოდისათვის ჩატარებული კვლევების მიხედვით, ადამიანების ცხოვრების სტილი და თავად საზოგადოება განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე იდგა. ამ პერიოდს ათარიღებენ ნეოლოთისა და ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპად. ადამიანის განვითრების ეს პერიოდი ჩვენ უკვე ნასწავლი გვაქვს სკოლაში და აქედან გამომდინარე ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს პერიოდის ადამიანის ცხოვრება საკმაოდ მარტივი იყო: მათ ხომ შეიარაღება და შრომის იარაღები ძალიან პრიმიტიული ჰქონდათ, ცხოვრების წესითაც ასევე განვითარების დაბალ საფეხურზე იყო , რაც ნათლად ჩანს იმ პერიოდის მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობის წესებში, მათი კვების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ნადირობა წარმოადგენდა. საოცარია ასეთი განვითარების ადამიანს როგორ შეეძლო აეშენებინა ასეთი შენობა-ნაგებობები. ჩემდა სამწუხაროდ , მეცნიერთა შრომებიდან შევიტყვე,რომ დღეისათვის რაიმე კონკრეტული აზრი ამ მეგალითების მშენებლებისა არ არსებობს და ვერც იმას ვერ ხსნიან თუ როგორ შეეძლო ამ პერიოდში მაცხოვრებელ ადამიანს ასეთი უზარმაზარი, გრანდიოზული და უდიდესი მოცულობის ციხე-ქალაქები აეშენებინა.

1. ლ.მელიქსეთ-ბეგი მეგალითური კულტურა საქართველოში //გამ.„ფედერაცია“ 1938წ. // გვ.7

2. შალვა ამირანაშვილი ქართული ხელოვნების ისტორია // გამ. „ხელოვნება“, თბ., 1971 წ.,// გვ.23

3. http://ka.wikipedia.org/wiki/

მეგალითების დანიშნულების შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიები. ზოგი თვლის რომ ისინი მხოლოდ საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობა იყო, ზოგიც კი მათ საკულტო დანიშნულების ნაგებობებად მიიჩნევს.

ჩვენი დიდი მეცნიერები ლეონ მელიქსეთ-ბეგი, შოთა ამირანაშვილი, არქეოასტრონომი ბადრი ჯიჯელავა თვლიან, რომ მეგალითები გამოიყენებოდა, როგორც საცხოვრებლად და საფორტიფიკაციო ციხედ, ასევე საკულტო-სარიტუალო დანიშნულებითაც და ყოფენ ორ ჯგუფად:

1. ციხე-სიმაგრეები და საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც საკმაოდ გაშლილი ნაქალაქარებია, განლაგებული მთის ფერდობებზე ან მწვერვალებზე. ციხე-სიმაგრეები ოთხკუთხა ფორმისაა და კედლებში მრგვალი ფორმის კოშკები აქვს დატანებული. ძეგლები აშენებულია უზარმაზარი ლოდების მშრალი წყობით. რა თქმა უნდა არა ყველგან, მაგრამ ზოგიერთ ამ ნაციხარებში შემდეგ პერიოდებშიც გაგრძელებულა ცხოვრება, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

2. კულტის ობიექტებია მონოლითები ე.წ. აღმართული ქვები- ქვა-სტელა, მენჰირები ანუ "ქვა" და "გრძელი" მეგალითური ნაგებობის უმარტივესი სახეობა, წარმოადგენს მიწაში ვერტიკალურად ჩარჭობილ ქვის ერთ ბლოკს (სიმაღლე 4 - 5 მ და მეტი); თევზის ფორმის საკულტო დანიშნულების ქვის ბლოკები-ქანდაკებები-ვეშაპები, რომლებზეც გამოსახულია ტოტემური

ემბლემები ანუ ხალხის წარმოდგენით ზოგიერთი პრიმიტიული ცხოველი (იშვიათად მცენარე და სხვ.), რომელსაც თაყვანს სცემენ როგორც ტომის წინაპარსა და მფარველს, ციური სხეულები და სხვა გეომეტრიული ფიგურები. საქართველოში ასეთი ქვები ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ კი არ გაუნადგურებიათ , პირიქით ჯვრებით მოუხავთ და ირგვლივ ეკლესიები შემოუშენებიათ და საკუთხეველთან მოუქცევიათ. ამ სტელებს ჰქონდათ საკრალური დანიშნულება, რადგანაც ხალხი მათთან ლოცულობდა უშვილობასა და მოსავლიანობაზე, უამინდობასა და მფარველობაზე .

როგორ შენდებოდა ეს ნაგებობები და რას ნიშნავდა უდუღაბოდ მშრალი წყობით მშენებლობა და რა სამშენებლო ტექნიკას ფლობდნენ ჩვენი წინაპრები? ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ლეონტი მროველი იგი აღნიშნავს, რომ არდამ სპარსთა ერისთავმა ქართლში IVს. ძვ. წ.-მდე „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირითა და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა: ამის გამო დაისწავლეს (ქართველთა) ქვითკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა“[2]

ვინ იყო ის ხალხი ვინც ასეთ ქალაქებს აშენებდა და ასე კარგად იცოდა მშენებლობა?
მათ შესახებ ჩვენამდე არც ერთ წყაროს არ მოულწევია ლეგენდების, ზღაპრების, მითებისა და ხალხური გადმოცემების გარდა, რადგანაც ადამიანმა ყველაფერი ის, რისი გაკეთება და გაგება თავად ვერ შეძლო ასე შემოინახა და მოგვითხრობდა თავისათვის მიუწვდენელ მოვლენებსა და ამბებზე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ხალხთა ლეგენდები და მითები შინაარსით ძალიან გვანან ერთმანეთს, განსხვავება მხოლოდ პერსონაჟთან სახელებია. მეგალითების ამშენებლებად მათ მსოფლიოს მითებში დახატეს მეტაფიზიკური დევ-გმირები, ციკლოპ-კიკლოპები და ამ შენობებს გმირთ-ნაცხარს და საცხოვრისებს უწოდებენ. ნიკო მარი აღნიშნავდა რომ კავკასიაში იმდენად ბევრი თითქმის ერთი შინაარსის ლეგენდა არსებობს გმირების შესახებ რომ, „მთელი კავკასია გამსჭვალულია გმირული სულისკვეთებითო“[1].

ქართულში ძალიან ბევრი მითი და ზღაპარია დაკავშირებული დევებთან :ამირანის მითი, მითი ქოროღლის შესახებ, თავ-ფარავნელი ჭაბუკის სიყვარულის მითი და სხვა. გმირებს უდიდეს ძალას, ყოვლისშემძლეობას,
უბადლო მებრძოლის და ხალხის გადამრჩენელის როლს მიაწერდნენ. დევებს კი სხვადასხვა როლი ჰქონდათ იყვნენ დევები, რომლებიც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ხოლო იყვნენ ბოროტებიც, რომლებიც აწიოკებდნენ მოსახლეობას და ხალხი ებრძოდა მათ წინააღმდეგ და მოუხმობდა გმირებს
დასახმარებლად, საბოლოოდ კი მათი დახმარებით ძლევდნენ ბოროტებას.

საქართველოში საკმაოდ ბევრი მეგალითური ნაგებობებია: ნაცხარ-ნაქალაქევები და საკულტო დანიშნულების ობიექტები (მენჰირებით, ვეშაპებით და ა.შ). მეგალითებია: გოხნარში, თეჯისში, ავრანლოში, ნარდევანში, საროში, მანგლისში, აბულის, შაორის, ბაკურიანის-თორის, ბეშთაშენის, მამულოს, ჩხიკვთა, გურიაში აჭის წყლის ხეობაში, სვანეთში და სხვა ადგილებში.ამ ძეგლთა შესწავლა საქართველოში დაიწყეს XIXს. ბოლოს 1884წ. V არქეოლოგიური ყრილობის შემდეგ, ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ე.თაყაიშვილი, ა.იოაკიმოვი, , ლ. მელიქსეთ-ბეგი, ივ. როსტომაშვილი, ა. გრენი, გ. ჩუბინაშვილი, ი.სმირნოვი და აკად. ნ. მარი.
თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე პერიოდულად ხდებოდა ამ ძეგლების შესწავლა ბორის კუფტინის, შოთა ამირანაშვილის, გურამ გრიგოლიას, გოდერძი ნარიმანაშვილის და სხვა მეცნიერთა მიერ, მაგრამ სამწუხაროდ შესწავლილია მხოლოდ ძალიან მცირედი და არა და მათი შესწავლა კი რამდენ რამეს მოჰფენდა ნათელს.

1-2. ლ. მელიქსეთ-ბეგი მეგალითური კულტურა საქართველოში //გამ.„ფელერაცია“ 1938წ. // გვ.11

ჩვენმა ექსპედიციამ დაათვალიერა მხოლოდ ოთხი მეგალითური კომპლექსი, რომელთა შესახებაც მინდა რომ გიამბოთ ამ ნაშრომში : გოხნარი, თეჯისი, ავრალნო და ნარდევანი. თითოეული მათგანი ულამაზესია და გრანდიოზული.

ჩვენი ჯგუფის წევრები სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებისაგან შედგებოდნენ და ყველა თავისი სპეციალობის მიხედვით იკვლევდა ძეგლს: დავათვალიერა მეგალითები, შეძლებისდაგვარად ავზომეთ, შევამოწმეთ ქვების მაგნიტურობა, ყურადღება გავამახვილეთ ქვათა წყობასა და არემარეზე, თუ რა გარემოში იმყოფებოდა ესა თუ ის ძეგლი და დავასურათეთ, რაშიც მე შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი და დიდი სიამოვნებით ვასრულებდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს.

და აი , ჩვენც მივედით ჩვენი მოგზაურობის საწყის პუნქტთან - დავათვალიერეთ სოფ. გოხნარი, სადაც მოსახლეობა სიხარულით შეგვეგება, მიუხედავად ზაფხულისა, მაინც გრილოდა, ადგილობრივმა მკვიდრმა ვალიკო პაპამ შეგვიპატიჟა სახლში და შემდეგ გამოგვაყოლეს ახალგაზრდა ბიჭი-ბესო გაბიდაური, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს მეგზურობას. გავუყევით აღმართს, გავჩერდით პატარა ეკლესიასთან, იქაურობა კარგად დავათვალიერეთ, გავზომეთ, ვიპოვეთ ქვაჯვარი, რომელსაც მარიამჯვარს უწოდებენ , რის შემდეგ აღმოვჩნდით მეგალითის ნანგრევებში, რომელსაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი უწოდებს ამირანის ბროლის ციხეს.

1.გოხნარი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და უდიდესი ციკლოპური აღნაგობის ნაცხარ-ნაქალაქარია, რომელიც დღემდე შემორჩენილია საქართველოში. მისი ადგილმდებარეობა ინტერნეტით მოვიძიეთ და იგი მდებარეობს ქვემო ქართლში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ბედენის ქედის ჩრდილოეთით კალთაზე, მდ. ბზისწყლის ხეობაში. დღეისათვის სოფელში ცხოვრობს 25კაცი. გოხნარის მეგალითური კომპლექსის შესწავლა დაიწყო 1925 წლიდან ჩატარებული ექსპედიციების შედეგად გეოლოგ კ. თათარაშვილთან და ხუროთმოძღვარ ნ. პ. სევეროვთან ერთად.

ასევე ინტერნეტიდან მოვიძიე, რომ გოხნარი ძველ წყაროებში აძიკვის[1] სახელით იხსენიება. მისი აღწერისას პროფ. ბ. ყავრიშვილი გვაწვდის მონაცემებს, რომ წალკის მაღლობისა და ალგეთის ხეობას შუა მდებარეობს საკრისის მთა,

ადგილობრივი მთიულები კი საკრივისსაც ეძახიან და მათი გადმოცემით „საკრივისი“ ის ადგილია, სადაც ამირანსა და დევს ბრძოლა ჰქონდათ და გამარჯვებულმა ამირანმა დამარცხებული დევი ამ მთის იქით გადაისროლა, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი კი ამ მთას ლაკვას უწოდებს, „სახელწოდება ლაკვა და სვანურში არსებული ლახვრა მსგავსი ეტიმოლოგიის უნდა იყოს. ლახვრა მზის პირველი სხივის მონიშვნის ადგილია.“ მანგლისელი რუსები კი ამ მთას „ყვითელ მთას“ უწოდებენ, ყვითელი ქვა-ქვიშის შემადგენლობის გამო. გოხნარის მეგალითური ნაგებობა განლაგებული ე.წ. ყვითელი მთის ქვემოთ, პატარა ბორცვზე. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან 1კმ. მანძილზე, სადაც მენჰირია ნაპოვნი, მას მარიამჯვარს უწოდებენ.

გოხნარის მეგალითური ნაგებობა სამი მხრიდან მიუვალია და შესვლა მხოლოდ შესაძლებელია ჩრდ.-დასავლეთ მხრიდან , სადაც ალბათ ოდესღაც გადიოდა გზა წყლისაკენ და მარიამ-ჯვარისაკენ საკრისის მთაზე, ახლა კი წყარო ჩამოუყვება და გარს უვლის იმ ბორცვს, რომელზედაც მეგალითური კომპლექსია განლაგებული. სწორედ რომ ადგილ-მდებარეობის შესწავლის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგს გაუჩნდა მოსაზრება რომ ეს ის ადგილი, სადაც ამირანი ბროლის ციხეს გადააწყდა,რომელსაც ადგილობრივი რუსები„Медвежья Балка“ უწოდებდნენ.

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი
გადიარეს ცხრანი მთანი
მეათენი ალგეთისანი
უცხო მთაში კოშკი ჰნახეს
ანაგები ბროლის ქვისა
ძმებმა გარშემოიარეს,
ვერა ჰპოვეს კარი მისი...[2]

როგორც ავღნიშნეთ გოხნარი სამი მხრიდან მიუვალია და მეოთხე მხარე კი ძნელად მისასვლელია, ზუსტად ისეა როგორიც აღწერილია ამირანის მითში, თან მთის სახელწოდებაც ამირანის გმირობებთანაა დაკავშირებული. ამ მოსაზრებას იზიარებენ მეცნიერები: შ.ამირანაშვილი, ბ, ჯიჯელავა და სხვ. სავარაუდოდ, გოხნარის ლოდოვანის ადრინდ. ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და თარიღდება ძვ. წ - აღ II -I ათასწლეულებით. ეს უზარმაზარი მეგალითური კომპლექსი შეიცავს:

---

1. ნ. კეცხოველი „კიდევაც დაიზრდებიან „file:///C:/Users/USER/Downloads

2. ლ.მელიქსეთ-ბეგი მეგალითური კულტურა საქართველოში //გამ.„ფედერაცია“ 1938წ.//გვ.140

1. მეგალითურ ნაგებობას მთის ფერდობზე: უზარმაზარ ციხე-ქალაქს(Медвежья балка) ლაბირინთებით და მენჰირს, რომელსაც -„ქალ-ქვა“ ანუ „ქვათა-რძალი“ უწოდებენ; 2. ბედენის მთის კალთაზე არსებულ „ლოდოვანს“ და 3.ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას ქვა-ჯვარით „მარიამ-ჯვარი“.

კომპლექსი მეგალითური ნაციხარ-ნაქალაქარია, რომელიც შედგება დიდი ქვაყრილისა და ცენტრში უზარმაზარი მონოლითური სვეტისაგან . ციხე ოთხკუთხაა. აშენებულია დიდი ზომის დაუმუშავებელი ანდეზიტის კლდის ლოდებით. განსაკუთრებით გრანდიოზულია ზღუდის აღმოსავლეთ კედელი, სამხრეთ კედელში ცილინდრული კოშკებია. გოხნარის მეგალითი შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან:

1. ქუა-ყრილისაგან, რომელშიც ძალიან ბევრი ნაპრალ-გვირაბია
2. ნაციხარი, რომელსაც მანგლისელი რუსები Медвежья балка-ს უწოდებენ. რადგან აქ დათვის ბუნაგებია. სამი მხრიდან ციხე ბუნებრივი კლდეებითაა დაცული
3. სამხრეთით ზღუდე ცილინდრული კოშკებითურთ-რომლებიც ამფითეატრად ეშვებიან სამხრეთ მხარეს წყლისაკენ.

გოხნარის ლოდოვანის სამივე ნაწილში მიმობნეულია მტკიცე ნაგებობები, რომელიც იცავს მეომრებს ცეცხლისაგან ანუ ე.წ. ბლინდაჟები (4ცალი), რომლის შესასვლელი ხელოვნურადაა მოწყობილი; დოლმენები ანუ უძველესი (ქვის ხანის) სამარხისაგან(ან აკლდამა) აგებული დიდი ლოდებისა და ფილებისაგან (5ცალი), ნაპრალ-გვირაბები (უამრავი), ცენტრში აღმართულია უზარმაზარი ქვასვეტი –მონოლითი, რომელსაც თევზის ფორმა აქვს

ნაგებობაში ბუნებრივი წარმოშობის 4დიდი ზომის მონოლითი დგას, რომლებიც გამოირჩევიან სხვა ქვებისაგან და მათი სიმაღლე 4-7მ. თავად კომპლექსის შესასვლელი კი ჩრდ-აღმოსავლეთითაა. შესასვლელიდან ჩრდილოეთით დოლმენია, რომელსაც სახურავი აქვს ჩანგრეული და კრამიტით გადაუხურავთ მეცხვარეებს. ნაქალაქარის მიდამოებში კლდიდან გადმოდის წყარო, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან უახლოვდება ნაგებობას და დასავლეთის მიმართულებით უვლის გარს და მიდის გოხნარის ქუა-ყრილისაკენ სამხრეთ მიმართულებით. ნაგებობაში სხვადასხვა ზომის და სიდიდის ოთახებია, რომლებიც ნახევარწრიული ელიფსური ფორმისაა. გოხნარის ციხე- ნამოსახლარი შემადგენელი ნაწილია საკრისის მთის გარშემო განლაგებული მეგალითური ძეგლების მთელი კომპლექსისა.

ლაკვის ხეობაში-გოხნარში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი: ღვთისმშობლის **„წმინდა მარიამის“ სახელობის** დარბაზული ტიპის ეკლესია სამხრეთის მინაშენით, რომელიც აგებულია XI საუკუნის მეორე ნახევარში-ბაგრატ IV (1027 – 1072 წწ.) და გიორგი II (1072 – 1089 წწ.) მეფობის წლებში. საყდარი შემოსილია ბაზალტის თლილი ფილებით, ოდესღაც მთელი ეკლესია ყოფილა მოხატული, ახლა კი ალაგ-ალაგ შემონახულია კედლის მხატვრობის

კვალი, სარკმლის საპირებზე შემორჩენილია ჩუქურთმები, სამხრ. კარის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილია თექვსმეტ სტრიქონიანი სამშენებლო წარწერა, სადაც მოიხსენიება ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და მისი შვილები რატი და იოანე.

სავარაუდოდ ამ ადგილას უნდა ყოფილიყო ძველი სალოცავი, რასაც ადასტურებს ეკლესიის გარშემო კრომლეხების ანუ დიდი დაუმუშავებელი ლოდებით შედგენილი წრე და წაქცეული მენჰირის არსებობა, რომელსაც ლეონ მელიქსედ-ბეგი „საქართველოს მეგალითები“ -ში, ქვა-რძალას უწოდებს. ქრისტიანულ პერიოდში იცოდნენ რა ამ მენჰირის დანიშნულება მას ჯვრის ფორმა მისცეს, ხოლო ცენტრში კი წარმართული ნიშნებია ამოკვეთილი წრეების სახით , რაც მზის სიმბოლოს წარმოადგენდა და მისი მიმართულებას მზის განსაკუთრებული მიმართულების ანუ მზის დაბადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სწორედ ამ მენჰირის დანიშნულების გამოა რომ ამ მთას ვახუშტი ბატონიშვილი ლაკვას მთად მოიხსენიებს. წინასწარ ჯგუფის წევრების მიერ განხილული იქნა ბადრი ჯიჯელავას კვლევა და დადგინდა რომ, სწორედ ეს ის ქვის სტელაა, რომელზეც აისახება მზის პირველი სხივი 25.07 ზაფხულის მზებუდობის დროს და მას მზის დაბადებას უწოდებდნენ და საიდანაც აკვირდებოდნენ პლანეტათა განლაგებას.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. ბევრ სხვა ადგილას ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი საფლავის ქვები მხოლოდ ეთნოგრაფიულ მუზეუმში თუ მინახავს: საფლავის ბრტყელ, მოზრდილ, მოგრძო ოთხკუთხედის ფორმის ქვებზე გამოსახულია სხვადასხვა კომპოზიცია: ადამიანის ფიგურები, საბრძოლო და შრომის იარაღები და სხვა გეომეტრიული ფიგურები, რომლებიც დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ეს გამოსახულებები ალბათ მიგვითითებდა ადამიანების საქმიანობაზე. ქვები გამოთლილია ბაზალტის ან ანდეზიტისაგან, რომელსაც ხალხი ალგეთის ქვას უწოდებს.

ბედენის ლოდიანი

გოხნარის კომპლექსის კიდევ ერთი საოცრებაა ბედენის მთის კალთაზე, ლაკვის ხევის გაღმა, მარიამჯვარისა და ყვითელი მთისდან რამოდენიმე კმ-ში ბედენის ლოდოვანი, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1700-1800მ სიმაღლეზე . გზად მიუყვები ფოთლოვან ტყეს-მუხნარსა და წიფლნარს, გზად შეგვხვდა პატარა ტბაც, რომელიც ფოთლებითაა იყო დაფარული. რამოდენიმე კილომეტრის შემდეგ გზად პატარა წყაროც მოჩუხჩუხებდა, წყალი სუფთაა და გემრიელი იყო, სადაც ცოტა დავისვენეთ და წავიხემსეთ. გოხნარის ნაციხარის შემდეგ არ ველოდით კიდევ თუ ვნახავდით ახალ საოცრებას, იქ ემოციებისაგან უკვე დავიცალეთ, მაგრამ ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როდესაც მივადექით ბედენის ლოდოვანს-ლოდების მდინარეს. ისეთი შეგრძნებაა თითქოს აქ ოდესღაც გრანდიოზული და უშველებელი ციხე-გალავანი იყო, ახლა კი ტალღურ დარტყმას დაუქცევია და მთლიანად დაუნგრევია. ლოდოვანი მოგრძო ფორმისაა და გაშლილი სხვადასხვა მიმართულებით. მისი სიგრძე: აღმოსავლეთ-დასავლეთით 200 მეტრია სიგანე: 100 მეტრი.

სამხრეთის მხრივ ის ძნელი მისასვლელია, ხოლო დასავლეთის მხრივ შედარებით ადვილი და სწორედ ამ მხრივ სჩანს ამ ლოდებისაგან გაკეთებული, ხელოვნური, სქელი გალავანი. ლოდიანის, ზოგან საკმაოდ ფართე ნაპრალებს და მის გარშემო მიყრილ-მოყრილ, უთვალავ, სხვადასხვა ზომის ლოდებისათვის ადამიანსაც მიუქცევია ყურადღება და ბუნებრივი პირობებზე მოურგია თავისი შემოქმედება: ზოგან ნაპრალისათვის განდაგან ბრტყელი და ფართე ლოდი დაუფარებია სახურავად და გვირაბ-თავშესაფარი მოუწყვია, ზოგან ბუნებრივად ამართული სვეტებისათვის ქვები მიუშველებია და ერთგვარი, კედლები აღუმართავს. სწორედ ასეთ გვირაბებში ჩვენც ჩავედით და შიგნით თითქოს ბუნებრივი გამოქვაბულის შეგრძნება დაგვეუფლა, მაგრამ ძირი მიწით იყო ამოვსებული და მათი დათვალიერება ვერ მოხერხდა. მრავლადაა მონოლითის ტიპის მაღალი ქვებიც. ლოდოვანის დათვალიერების შემდეგ ვნახეთ 5 მრგვალი ოთახის ან მრგვალი კოშკისმაგვარი ნაგებობა, რომელიც ერთმანეთის გვერდითაა და უზარმაზარი ლოდების გვერდით ეს კოშკურები პატარა ჩვეულებრივი ქვებითაა ნაშენები. ყველგან იქ სადაც ლოდები არაა ხე და ბალახებია ამოსული და დათვალიერება შეუძლებელია. ლოდებისა და კოშკურების შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ თითქოს ეს ნაგებობაც მიწით იყოს ათასწლეულების მანძილზე ამოვსებული.

უკვე შუადღე გადასული იყო როდესაც დავბრუნდით სოფ. გოხნარში და ემოციებით დატვირთულებმა გზა გავაგრძელეთ ახალი საოცრების სანახავად.

აი მივადექით ერთი შეხედვით სრულიად უსახურ სოფელს, რომელსაც თეჯისი ეწერა, სოფელი აბსოლიტურად მოუწყობელია, გაზის უქონლობის გამო წივათი თბებიან და საშინელი სული და ანტისანიტარიაა გამეფებული. გზად მოსახლეობა შემოგვეგება, ძირითადად გამუსლიმანებული ბერძნები ცხოვრობენ, რომლებიც XIX ს. 30-იან წლებში რუსეთის მთავრობამ არზრუმ-ბაიბურთ-გიუმიშხანედან თრიალეთში გადმოასახლა.

2.თეჯისი-ჩოლაყი სოფელია წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთის ძირას, წალკის წყალსაცავის ჩრდ-ით. მისი მოსახლეობა 243კაცია. სოფლის ძველი სახელია ერან-თურანი. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) იხსენიებს ერან-თურანის ხევს; რუკაზე კი მის ორ შენაკადზე აღნიშნულია სოფლები: თურანი – აღმოსავლეთით, ერანი – დასავლეთით. ერანი და თურანი XVIII ს. გაუერთიანებიათ და შეიქმნა სოფ. ერან-თურანი, რომელსაც შემდეგ ბერძნებმა თეჯისი უწოდეს.

ძველად სოფელში 4 ეკლესია იდგა, ორი მათგანის მხოლოდ ბუდეებიღა ჩანს. ჩვენდა გასაკვირად ორივე ეკლესია, რომელიც სოფელშია მოვლილი და გასუფთავებული დაგვხვდა, მიუხედავად იმისა რომ უმეტესად ამ სოფლებში გამუსლიმანებული ბერძნები ცხოვრობენ, ჩვენმა გამყოლმა აგვიხსნა, რომ მოსახლეობამ გადმოცემით იცის მათი საკრალური დანიშნულების შესახებ და ცდილობე მოუარონ და პატივი სცენ მას.

ჩვენმა ჯგუფმა მოინახულა სოფელში შემორჩენილი 2 ეკლესია: 1. აია კონსტანტინი და წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. სავარაუდოდ ორივე ეკლესიის ადგილას ოდესღაც მეგალითური ნაგებობა იყო, რადგან ორივე აია კონსტანტინის და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიების და მათი გალავნების ასაშენებლად გამოყენებულია დამუშავებული და დაუმუშავებელი(სავარაუდოდ კარიერი იქვე იყო)დიდი ლოდები, რომლებიც მშრალი წყობითაა ნაგები, ხოლო აია კონსტანტინის ეკლესიაში კი მენჰირ-ვეშაპოიდია, რომელიც ჯვარიან-ქვად იქნა გადამუშავებული. განვიხილით სათითაოდ:

---

1. აია-კონსანტინი:

სოფ. თეჯისთან მთაზე, წრიული ფორმის დიდი ქვის გალავანი, რომლის შიდა ფართობზე აშენებულია მცირე ერთნავიანი ეკლესია. თავად ეკლესიას აქვს მიშენება, რომელიც თითქოს ეკლესიის ეზოს შთაბეჭდილებას ქმნის ან კიდევ შეიძლება ადრე გადახურული იყო და ოთახადაც გამოიყენებოდა. იგი დაშენებული ძველ კედელზე და ზედა ფენებში გამოყენებულია დუღაბი. ეკლესიის შიგნით საკურთხევლის მხარეს კი დგას სუფთად გათლილი სალოცავი მენჰირ-ვეშაპოიდი (ქალ-ქვა, ქვა-კაცა), რომელზეც შუა საუკუნეებში მაღალი ჯვარი ამოუჭრიათ. სავარაუდოდ ეს ციკლოპური გალავანი თავიდან გარს ევლებოდა მენჰირს, რომელიც საკულტო მდგარი ქვაა . შუა საუკუნეებში ააგეს ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების ეკლესია და მენჰირზეც ჯვარი ამოჭრეს. მენჰირი დამაგრებულია სპეცილურ დამზადებულ არასწორკუთხოვან ფორმის. საყრდენ ქვაზე, გვერდები მიმართულია აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ. მენჰირი განთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმელთან ახლოს.

მენჰირს მხოლოდ ერთი მხრიდან გააჩნია მაგნიტური ველი. თუ მის აღმოსავლეთის მხარეზე მივიტანთ კომპასს-კომპასის ისარი გადაინაცვლებს ჩრდილოეთისაკენ და მის სიახლოვეს ჩრდილო-დასავლეთს გვიჩვენებს.

მეგალითური ნაგებობას ორი სარკმელი აქვს , საიდანაც მენჰირი იმზირება. ეზოში ეკლესიის კედელთან უფრო პატარა ზომის კიდევ ერთი ქვა-ჯვარია, რომელზეც გამოსახულია ე.წ. „ბოლნისის ჯვარი“.

2.სოფელშია წმინდა ნიკოლოზის დარბაზული ეკლესია, რომელიც გვიან დასახლებულ ბერძნებს საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ნაშენია უხეშად დამუშავებული ქვებით, გარს არტყია გალავანი. მისი მოზრდილი ლოდები უხსნაროდაა ერთმანეთზე დალაგებული. აქვს საკუთარი საკურთხეველი და სატრაპეზო ლოდი აქვს. შესასვლელი სამხრეთიდანაა მინაშენიდან. ასეთივე კარი მინაშენის სამხრეთ კედელშიცაა მოწყობილი. ეკლესიაში მენჰირი არ დგას. დათვალიერებისას, თვალში საცემი იყო თეჯისის მეგალითური ძეგლების ადგილ-მდებარეობა, გოხნარისაგან განსხვავებით თეჯისის მეგალითური ნაგებობები ადვილად მისასვლელ ადგილებშია აგებული, ამიტომაც შეუძლებელია ის ყოფილიყო სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობა გოხნარის მსგავსად. წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას გაშლილი ჰორიზონტი აქვს,ხოლო აია კონსტანტინი კი , რომ არა ეს ხელოვნურად გაშენებული ტყე, მასაც ოთხივე მხარეს გაშლილი ჰორიზონტი ექნებოდა.

ჩვენი გაოცება ვერ დავმალეთ, როდესაც აია-კონსტანტინის მენჰირის მაგნიტურობა შევიტყვეთ, რადგან იგი მხოლოდ საკურთხევლის მხარეს რეაგირებდა ხელსაწყოებზე. აია კონსტანტინის მენჰირის მაგნიტური მხარე (ბრტყელი) მიმართულია აღმოსავლეთით, მისი საპირისპირო (ისეთივე ბრტყელი) დასავლეთით. მენჰირის დასავლეთის მხრიდან განთავსებულია დიდი ქვა, რომელზეც ამოჭრილია ნახევარწრე, იგი იმეორებს იმ ლადშაფტის ფორმას, რომელიც მენჰირის დასავლეთის მხრიდან იმზირება. ბატონ ბადრი ჯიჯელავას აზრით „მენჰირის ასეთი ორიენტირი მიმართული იყო რა ძველ დროს გაზაფხულის და შემოდგომის ბუნიობის დღეებში დაეფიქსირებინათ ცაზე მზის მდებარეობა. ამ დღეებში მზის ამოსვლა მენჰირის მაგნიტური მხარის მიმართულებით ხდებოდა, ხოლო ჩასვლისას მზე სავარაუდოდ ჯდებოდა იმ ნახევარწრეში, რომელიც მენჰირიდან დასავლეთითაა მოთავსებული და მხოლოდ ამის მერე ქრებოდა ჰორიზონტიდან. სავარაუდოდ მზის ასეთი ტრაექტორია ნიშანი იყო ამინდის ცვლილებების დასაწყისისა, კერძოდ გაზაფხულის ბუნიობის დროს წვიმების სეზონის დასაწყისის და ცივი ამინდების დასასრულის, ხოლო შემოდგომის ბუნიობის დროს ნალექიანი და ცივი ამინდების დასაწყისის“[1]. სწორედ ასეთივე მოვლენაზე გვაწვდის ინფორმაციას ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც აღწერს ქვებს, რომლებსაც ჰქონდათ უნარი ამინდების შეცვლისა ანუ წვიმებისა და გვალვების შეცვლისა. შემორჩენილია ლეგენდა თითქოს ქვას რომ გადააბრუნებდნენ შესაბამისი რიტუალის შემდეგ შესაძლო იყო გვალვის წვიმით შეცვლა და პირიქით გაუთავებელი წვიმების დროს რიტუალის შესრულების შემდეგ მზიანი ამინდები გამოდიოდა.გარდა ამისა სალოცავი მენჰირი და მისგან მიმართული ოთხი მხარე არის მეგალითური ნაგებობის ორიენტირები აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით და ერთგვარ ქვის კომპასის ფუნქციას ასრულებდა, იმდროინდელ ადამიანს სწორ ორიენტირებს აძლევდა. ე.ი შეიძლება დავასკვნათ რომ, რადგანაც ძველი ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა გარემოს შესწავლას და ამიტომაც იგი აკვირდებოდა დიდი ინტერესით მზისა, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩასვლა-ამოსვლას და მოძრაობის ტრაექტორიას, პერიოდების ცვლას, ვარსკვლავების განლაგებას და ადგენდა გარკვეულ კანონზომიერებებს დროსთან, მეტეოროლოგიურ და ბუნებრივ მოვლენებთან ე.ი თეჯისის მეგალითური ძეგლები კალენდრის ფუნქციის მქონე ნაგებობებია, რადგანაც მათ საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული ორიენტირები აქვს.

1. ბადრი ჯიჯელავა საქართველოს ძველი ასტრონომიის კულტურული კონტექსტი//ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა //ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2016 //გვ. 15

ასე რომ თეჯისის მეგალითები ძალიან საინტერესო ობიექტია არამარტო არქეოლოგიური შესაწავლის თვალსაზრისით, არამედ ასტრონომიული თვალსაზრისითაც. ასეთი მნიშვნელობის გამო ადამიანმა სარწმუნოების შეცვლის შემდეგ წარმართული საკულტო ნაგებობები „გააქრისტიანა“ და ეს ცოდნა განაახლა და მოარგო ახალ რწმენას. ასე დასრულდა ჩვენი ექსპედიციის პირველი დღე. ემოციებით დახუნძლულები დიდხანს საუბრობდნენ ამათუ იმ თემაზე , მეც გაფაციცებით ვუსმენდი და ვათვალიერებდი მთელი დღის ფოტომასალას. ძალიან ბედნიერი ვიყავი ნანახით.

დილა უთენია გავემზადეთ ახალი თავგადასავლების საძებნელად და გავემგზავრეთ ავრანლოსა და ნარდევანში.

3.სოფ. ავრანლუ-ავრანლო ანუ ისტორიული თეძი სოფელი წალკის რაიონში მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე ღრმა ხეობაში, წალკიდან 32 კმ-ზე, მოსახლეობა 789კაცი. ისტორიულ წყაროებში ავრანლო თეზის სახელწოდებით პირველად 1691 წელს მოიხსენიება, როდესაც მეფე ერეკლე I-მა ის ფარემუზ ჯავახიშვილს უწყალობა. "ავრანლო" კი უწოდეს 1828-1829 წლებში ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა. სწორედ ავრანლოს მეგალითები იყო პირველი აღიარებული ძეგლი საქართველოს მეგალითებიდან , რომელსაც მიაკვლია ამ 1881წ. სოფლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა.

სოფელს გადმოჰყურებს ციკლოპური წყობით ნაგები უზარმაზარი ნაციხარ-ნაქალაქევი, რომელიც არქეოლოგებმა დაათარიღეს ძვ.წ I ათასწლეულის ბოლო მეოთხედით. ნაქალაქარი მდინარეს დასცქერის ამფითეატრივით და შედგება 3 იარუსისაგან: I მთის ძირში, II მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე , III მთის წვერზე ზევითა ტერასა.

I იარუსი: მთის ძირში, ქვედა საფეხური ანუ ტერასა შედგება გრძელი ზღუდისაგან, რომელიც რკალისებური გეგმისაა. აქვს ერთი უზარმაზარი ქვით გადახურული კარი წყაროს მახლობლად . ზღუდესა და მთას შორის, ქრისტიანული ხანის ეკლესიაა მიშენებული ზედ კლდეზე , რომელშიც პაწაწა გამოქვაბულია გამოკვეთილი და ეკლესიაა ჩრდილოეთ მხარიდან შეერთებული, რომელიც 2-3 კაცი თუ დაეტევა. ამ ეკლესიიდან დასავლეთისკენ ზღუდის წვერამდე და ზღუდის შემდეგაც ძალიან ბევრი გამოქვაბულია . ექვთიმე თაყაიშვილსა და ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით ეს ის ადგილია, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს, როგორც „აბიბოს მონასტერი“ , ამის საფუძველს იძლევა აბიბო ნეკრესელის ცხოვრება, სადაც ნახსენებია ქალაქი რეხა, ვითარცა მარზპანის რეზიდენცია.

II იარუსი: მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე პატარა დავაკებული ადგილი, რომელიც ფერდ შუა სიმაღლე ოთხკუთხედის გეგმისაა, რამოდენიმე მეტრის სიგრძე-სიგანით. ალბათ წარმოადგენდა ნაციხარს.

III იარუსი : მთის წვერზე ზევითა ტერასა, მთის წვერი, დიდი ნაციხარი ოთხკუთხედის გეგმით. ციხე თავისი აღნაგობითა და წყობის მიხედვით ძალიან ჰგავს ნარდევანის მშენებლობის ტექნიკას. პირველი იარუსი შედარებით პატარა ქვებითაა აგებული, მეორე და მესამე იარუსები აშენებულია დიდი ქვებით და დაახლოებით ერთნაირი ფორმისა და სტრუქტურისაა. კედლის სისქე სამივე იარუსზე 3-4 მ. სისქისაა.

ავრანლუს ნაციხარი სტრატეგიული თვალსაზრისით მთის მწვერვალზეა აშენებული და გარემოს კონტროლისათვის მოცემულ ტერიტორიაზე კარგი პოზიცია უკავია, როგორც სამეთვალყურეო ან რელიგიურ ცენტრს. მაგრამ როგორც საბრძოლო ციხე -მისი დანიშნულება ბურუსითაა მოცული მისი ადგილ-მდებარეობის გამო. პირველი და მეორე იარუსი მდ. ქციის ნაპირთანაა და დასავლეთ მხრიდან კი სალი კლდე იცავს, ხოლო მესამე იარუსი კი ერთი მხრიდან აბსოლუტურად დაუცველია, დასავლეთით პატარა ხევია, სადაც მდინარე გადის ორ მინდორს შორის, რომლის გადალახვა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ჩვენც სწორედ ამ მხარიდან მოუარეთ. ამიტომ მისი დაზიანება-დანგრევა არ მოითხოვდა დიდ შრომას მტრის შემოსევის დროს. რაც კიდევაც ეტყობა კედლის ნანგრევებს. მისი დათვალიერების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა რომ ციხეს ვიღაცამ ან რაღაცამ წერტილოვანი დარტყმა მიაყენა, რადგან გალავანის რამოდენიმე ფენა ერთსა და იმავე ადგილებში ერთნაირადაა ჩამონგრეული.

გარდა ამ სამ იარუსიანი ნაქალაქარისა კანიონში არის ერთ და ორსართულიანი გამოქვაბულები(ერთი თავის ქალას ჰგავს ძალიან) და 2 დარბაზული ეკლესია, რომელთაც გვიანი გადაკეთების კვალი ეტყობა და ადრეფეოდალურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ზედა საყდრის საკურთხეველში შემორჩენილია სტელა ან ქვაჯვარის კვარცხლბეგი, რომელზეც ჯვარია გამოსახული, არის შრალი წყობის გალავანი და სამალავები. ასევე აღმოჩენილია დოლმენი 5 ქვისაგან. სოფლის ეკლესიები ახალია და ძველ ქართულ სალოცავებზეა აგებული, რასაც მათ წყობაში ჩაყოლებული არქიტექტურულ დეტალები მოწმობს.სავარაუდოდ შესწავლის შემდეგ ნაციხარი ბევრს სიახლეს შემოგვთავაზებს, რადგან მისი ადგილ-მდებარეობიდან გამომდინარე აქ უნდა იყოს საიდუმლო გვირაბებიც და მთის შიგნითა საცავებიც.

ოდესღაც თავისი დანიშნულებით ავრანლუ იქნებოდა ულამაზესი, გრანდიოზული და შთამბეჭდავი ციხე-სიმაგრე.

გავაგრძელეთ გზა ნარდევანისაკენ. სიმართლე გითხრათ წინა დღეს თუ ძალიან ბევრ კითხვას გასცეს პასუხი ძეგლების ნახვის შემდეგ ჯგუფის წევრებმა, (მაგალითათ რას?) დღეს მიუხედავად წაკითხულისა ძალიან ბევრი ახალი კითხვა გაუჩნდათ უფროსებს. (რა კითხვები?) მე კი დიდი ინტერესით ვაგრძელებდი გზას. მივადექით ნარდევანს:

4. ნარდევანი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც ინახავს უძველესი საქართველოს ისტორიის წაუკითხავ ფურცლებს. სოფელი ნარდევანი მდებარეობს წალკიდან 20კმ. მანძილზე. სოფელში ცხოვრობს 1516 კაცი. სოფლის ზევით სამხრეთისაკენ, ფარავნის ტბისაკენ მიმავალი გზის პირას გორაკზე შეუძლებელია არ შეამჩნიო ციკლოპური ნაციხარი, რომელსაც ნარდევანის „ყალას“ უწოდებენ. ჯავახურ ლექსიკონში ნარდევანი მერდევანად არის მოხსენიებული, რაც კიბეს ნიშნავს, ხოლო .„ყალა“ თურქულად ციხეს ნიშნავს. ნაციხარის ნახვისას თავი ვერ შევიკავე და კარის ძებნა არც კი დამიწყია ისე ავძვერი ლოდებზე-ერთი სული მქონდა მენახა შიგნით რა დამხვდებოდა. ისევე როგორც თრიალეთის სხვა მეგალითური ნაციხარ-ნაქალაქარები ნარდევანის ყალა მართლაც ძალიან შთამბეჭდავია: ირგვლივ მრავალტონიანი ქვებისაგან შეკრულია კვადრატული ფორმის ნაგებობა, რომელიც შეძლებდა ძნელბედობის ჟამს მთელი სოფლის მოსახლეობის შეფარებას და სავარაუდოდ საუკუნეების მანძილზე ასრულებდა თავდაცვითი ნაგებობის ფუნქციას. ნაციხარის ნაგებობა კვადრატული ფორმისაა. შედგება საკმაოდ დიდი ზომის ლოდებისაგან, რომლების მშრალი წყობითაა ნაშენები; ციხის შიგნით და გარეთ მრავლადაა მიმოფანტული კედლებიდან ჩამონგრეული ქვები. ლოდები სხვადასხვა ფორმისაა. შესასვლელი სავარაუდოდ დასავლეთით უნდა ჰქონოდა. კედლების წყობა უსწორმასწოროა , კუთხეები მომრგვალებული, ქვები სხვადასხვა

დაკვირვევების შემდეგ შევამჩნიეთ რომ ქვებს ეტყობა აგრეთვე დამუშავების კვალიც: სიგლუვე და ტალღები, რომლებიც მომიჯნავე ქვის ფორმაზეა მორგებული. ასეთი ზედაპირის მიღება თანამედროვე პირობებშიც კი საკმაოდ რთულია, ზედაპირები იმდენადაა დაგლუვებული, რომ მისი ბუნებრივი ფოროვანი სრუქტურაც კი გაწელილი და გაბრტყელებულია ალაგ- ალაგ , ხელით შეხებისასაც კი გაირჩევა ასეთი ქვების ზედაპირების სიგლუვე.

ექსპედიციის წევრებმა დათომ და ბიძინამ აღნიშნეს, რომ ქვების ასეთი წყობა ძალიან წააგავს პოლიგონალურ ანუ დიდი მრავალკუთხიანი ქვების ერთმანეთზე დალაგების სისტემა, მაგრამ სხვა პოლიგონალური წყობის ძეგლებისაგან(თურქეთის, სამხ. ამერიკა) განსხვავებით ნაციხარი ძალიანაა დანგრეული და მაგრამ ქვების ზედაპირის დათვალიერებისა და შესწავლის შემდეგ აღმოვაჩინეთ ქვები, რომლებსაც ეტყობა დამუშავების კვალი და ამ წყობისათვის დამახასიათებელი ფორმის არსებობა და კედლების კარგად დათვალიერების შემდეგ კი აშკარად შეიმჩნევა დიდი მსგავსება პოლიგონალურ წყობისთან.

ნარდევანის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია, ციხის დასავლეთ მხარეს ციცაბო კალთა ეშვება, რომელიც რამდენიმე ტერასისაგან შედგება. ნაციხარის დათვალიერება სრულყოფილად შეუძლებელია 2 მიზეზის გამო:

1 ბალახის საფარია მაღალი, რომელიც გარემოს მთლიანად ფარავს, ხოლო მე-2 პრობლემა კი ისაა რომ ციხე შიგნითაა ჩაქცეული. ნაციხარის დანგრევის მიზეზები უცნობია და თვით ციხის დათვალიერების შემდეგაც შეუძლებელია მყარი ვერსიების, არსებობა, რადგან ციხე შიგნითაა ჩაშლილი და არც მიწისძვრის და არც დროთა განმავლობაში ბუნებრივი პროცესების შედეგად დანგრეულ ციხეს არ ჰგავს. ისეთ შეგრძნებას ტოვეს ავრანლოსი არ იყოს თითქოს ციხე შიგნიდან შეისრუტა. ნაციხარი ძალიანაა დაზიანებული და ციხის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი პირვანდელი სახის , ასაკისა და დანიშნულების შესახებ საუბარი.

უკვე დღის მეორე ნახევარი იყო და ძალიან დაღლილები ვიყავით. გადავწყვიტეთ ყველამ ერთად ცოტა დაგვესვენა და მერე თბილისში დავბრუნებულიყავით. წავედით დაშ-ბაშების ულამაზეს ხეობაში, მდინარის პირას სული მოვითქვით პაპანაქება სიცხეში. შეუძლებელია ამ საოცარ ადგილებში არ იფიქრო წარსულის დიდებაზე და იმ საიდუმლოზე, რომელსაც მეგალითები ინახავენ, რაც დიდი ხანია აწუხებს კაცობრიობას. ვისხედით და წაკითხულსა და ნანახს ერთმანეთს ვუხამებდით. ამიტომაც ხდება ამ ობიექტების მრავალმხრივი შესწავლა და მათ შორის არქეოასტრონომიული ანუ სიძველეების ასტრონომიული კვლევითაც. ძველი გადმოცემების თანახმად ქვის დიდ ლოდებში იმალება ჯადოსნური საიდუმლო და ბევრი დაავადების სამკურნალო ძალა. მეგალითური ნაგებობები აგროვებენ ელექტრომაგნიტურ ენერგიას, ვინაიდან ისინი შეიცავენ მაგნეტიტის მნიშვნელოვან რაოდენობას. იმუხტებიან და განიმუხტებიან და როგორც ბიძინამ (ფიზიკოსია პროფესიით) ამიხსნა აშკარაა, რომ დედამიწის ზედაპირზე ზოგიერთ ადგილას ხდება ენერგიის მაღალი კონცენტრაცია. ასეთ ადგილებზე აგებდნენ ტაძრებსა და სხვა რიტუალურ ნაგებობებს, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ ნანახი გოხნარისა და თეჯისის კომპლექსები და მითი დანიშნულება.

სხვა მეგალითებს შორის ასტრონომიული დანიშნულების ობიექტებად ბოლო პერიოდის კვლევების შედეგად მიიჩნევენ ინგლისის ცნობილ მეგალითებს ტოუნჰენჯს და მაკედონიის მსოფლიოში ცნობილ მე-4 ობსერვატორიას-კოკინოს მეგალითებს. ისინი წარმოადგენენ ქვათა ჯგუფს, რომელნიც იმგვარად არიან დამუშავებულნი, რომ ადამიანს სხვადასხვა ციური მოვლენების დაკვირვების შესაძლებლობას აძლევენ.

ამგვარად, ჩვენი ექსპედიციაც დასრულდა და გულდაწყვეტილი ვბრუნდები თბილისში, ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ჩემს სამშობლოში ასეთი გრანდიოზული ნაგებობების ნახვა შემეძლო, თუმცა არა ერთხელ გაუოცებივარ ჩვენი წინაპრების ნაშრომ-ნაღვაწს. მთელი წლის შრომის შედეგად, წაკითხულისა და ნანახის გაანალიზების შემდეგ ჩვენმა „უძველესი ცივილიზაციების შემსწავლელმა” ჯგუფმა გამოიტანა შემდეგი დასკვნები:

1 . ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი „მეგალითები საქართველოში“ აღწერილი ნაგებობები მდგომარეობა იმ პერიოდიდან ამ დრომდე თითქმის არც კი შეცვლილა, ამას ჩვენი აზომვები და სურეთებიც ადასტურებს. მართლია ჩატარდა სამეცნიერო ექსპედიციები, მაგრამ ეს აბსოლუტურად არაა საკმარისი ისეთი გრანდიოზული ძეგლების კვლევისათვის, როგორებიც მეგალითებია.

2. მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, მეგალითური ძეგლების კვლევების მასალებზე დაყრდნობით, გამოკვლეულია საკულტო ობიექტების და მითოლოგიური პერსონაჟების კავშირი ციურ სხეულებთან და ასტორონომიულ მოვლენებთან, როგორიცაა მზე, მთვარე, ვარსკლავები, პლანეტები, მათი ამოსვლა-ჩასვლა წლის სათანადო პერიოდებში.

3. ძალიან საინტერესო იყო მეგალითების ქართულ მითებთან დაკავშირება და მათი ხორცშესხმა, რადგანაც თუ მეგალითები მართლაც ამირანის მითს დაუკავშირდება ე.ი ხდება მითის ჩვენს სამყაროში ხორცშესხმა.

4. ასევე აღმოჩენილია მეგალითების პერიოდის მსოფლიოს მითოლოგიის შინაარსობრივი კავშირი. ე.ი სხვადსხვა ქვეყნის მითები თითქმის ერთსა და იმავე მოვლენებს აღწერს.

5. გოხნარისა და თეჯისის შესახებ ძალიან საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული ბოლო წლებში ბადრი ჯიჯელავას და არ შემიძლია არ დავეთანხმო, იმაში რომ ამ ძეგლებს მართლაც განსაკუთრებული მაგნიტური ძალა აქვს, რაც ჩვენმა კვლევებმაც დაგვიდასტურა, როდესაც გავზომეთ ქვებისა და მენჰირების მაგნიტურობა.

6. შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ ძეგლების დანიშნულების მსგავსებაც: გოხნარის კომპლექსი გამოიყენებოდა, როგორც საფორტიფიკაციო-საცხოვრის ნაგებობად, ავრანლუსა და ნარდევანის მსგავსად , ასევე ჰქონდა საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც, როგორც თეჯისის მეგალითებს.

7. საკმაოდ გაურკვეულია ჩვენი უდუღაბო მშენებლობის ტექნიკა როდიდან იღებს სათავეებს და საჭიროა ამ უნიკალური ტექნიკის შესწავლა და მისი მომავალ თაობებზე გადაცემა.

8. საქართველოში დედამიწაზე პირველი ადამიანის გაჩენიდან დღემდე განვითარების ყველა საფეხურის დამადასტურებელი ფაქტებია, როგორც ძეგლების სახით , ასევე წერილობით წყაროებში.

9. აუცილებელია ამ ძეგლების ძირფესვიანად შესწავლა და არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ჩემი აზრით უნდა შეიქმნას მუზეუმი , მოეწყოს გამოფენები, სადაც მხოლოდ გოლიათებისა და მეგალითების სამყარო იქნება ასახული. შეიქმას სხვადასხვა ვებ საიტები, სადაც მოხდება ინფორმაციის და ახალი აღმოჩენების გაცნობა.

როდესაც ვემზადებოდით ექსპედიციისათვის, მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ამდენი შეკითხვა გამიჩნდებოდა, რადგან ვერც კი ვაცნობიერებდი ამ ძეგლების უნიკალურობას. ახლა კი ბევრი კითხვა მაქვს რომლებზეც ვეძებ პასუხებს. საინტერესოა : ვინ აშენებდა ასეთ უზარმაზარ შენობებს? რა მიზეზი ჰქონდა ასეთი ზომის ლოდების გამოყენებას? რამ დაანგრია ეს ნაციხარები? როგორ მოხდა რომ ნაციხარი მაინცდამაინც შიგნით ციხეშია ჩაშლილი? როგორი იყო თავდაპირველი სახე? რატომაა ასეთ მდგომარეობაში, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ამავე პერიოდის ძეგლები ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია?ვინ იყო მტერი , რომელმაც შეძლო დაენგრია ეს შენობები? როდის დაინტერესდებიან ჩვენი არქეოლოგები ამ ძეგლის შესწავლით?

იმედი მაქვს რომ ჩვენი თაობა მიიღებს ამ კითხვებზე პასუხს ახალი კვლევებით და ნათელს მოჰფენს ათასწლეულების წინანდელ საიდუმლოებს.

დიდ ილიას უთქვამს „არ დავიწყება ისტორიისა ანთებული კერაა მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა. მხოლოდ იმას შეუძლიან თვალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მერმისს, ვინც იცის წარსული. მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“

ელოდება მდუმარედ გოხნარი, თეჯისი, ავრალნუ და ნარდევანი თავის დევ-გმირ მკვლევარს, რომელსაც გაანდობს თავის უდიდეს საიდუმლოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ.მელიქსეთ-ბეგი მეგალითური კულტურა საქართველოში //გამ. „ფედერაცია“ 1938წ.

2. შალვა ამირანაშვილი ქართული ხელოვნების ისტორია // გამ. „ხელოვნება“, თბ., 1971 წ.

3.ბადრი ჯიჯელავა საქართველოს ძველი ასტრონომიის კულტურული კონტექსტი//ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა //ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2016

4.კვირის პალიტრა-ეთერ ერაძე „ადგილი, სადაც მკვლევრები ქაჯთა ქალაქის არსებობას ვარაუდობენ - ციკლოპური ნასახლარები საქართველოში“ 05 .10.2017

5.ზ. მაისურაძის „ისტორიის ქვის ფურცლები“ //ძეგლის მეგობარი 1970წ.

6. ნ. კეცხოველი „კიდევაც დაიზრდებიან“ file://C:/Users/USER/Downloads/კიდევაც დაიზრდებიან...%20(1).pdf

7. http://ka.wikipedia.org/wiki/

8. უცხო სიტყვათა ლექსიკონი